ოთხშაბათი, 1918 წ. თიბათვის 5 № 109 ოთხშაბათი, 1918 წ. თიბათვის 5 № 109

წელიწადი მეოთხე

ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 35 კაპ.

# საქართველო

**რ ე დ ა ქ ც ი ა**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილებში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უმისამართოდ გამოგზავნილი წერილები უყურადღებოდ დარჩება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადად მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

**კ ო ნ ტ ო რ ა**

პირველ გვერდზედ ხაზის მიწერა მიიღება მხოლოდ ხანი თვით და ...—18 მ. თვეზე (ცალკეულ ქალაქებში) 6 მ. და 50 კ. ცალკე № 30 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით: 20×2—15 მანეთი, 30×2—20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქგარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5. ქართველი ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ, Сакартвело.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა 15—73

## ცნობები:

საქართველო-ოსმალეთს შორის წინასწარი ზავი შეიკრა. ზავი შეიკრა ოსმალეთისაგან აგრეთვე აზერბეიჯანთან და სომხებთან.

ხვალ, 6 ივნისს გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი

**დიმიტრი (ტიტო) ზურაბის ძე**

**ანდრონიკაშვილის**

სულის მოსახსენებლად კუკიის წმინდა ნინოს ეკლესიაში, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთა და ნათესავთა, დედა და ცოლი შვილებით, და და ბაგრატიონ-დავითლოვისა თავისი შვილებით. წირვა და პანაშვიდი დილის 10 საათზე. 1—1

ხვალ 6 ივნისს გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

**შალვა იასეს ძე ვეზიროვისა**

ქვაშვეთის ეკლესიაში რასაც მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთა და ნათესავთ, მამა ზახარის ძე, დედა ილიას ასული და და თამარი ვეზიროვები ალექსანდრე იასეს ასული და სიძე ერმოლაოზ იოანეს ძე ნაჭყებია და ბიძა იოსებ იოსების ძე ავალიშვილი. წირვა და პანაშვიდი დილის 10 საათზე. 1—1

## საშინელება

ვინ ჩამოსთვლის რამდენი საშინელება გამოვცადეთ ამ რამოდენიმე თვის განმავლობაში და ამას ჯერ კიდევ ბოლო არ უჩანს. ქართველი საზოგადოება ყველაფერს შეეჩვია. ვით მომაკვდავი, რომელსაც ყოველივე გრძნობიერობა დაკარგული აქვს, ის აღარც კი გრძნობს იმ უთვალავ ჭრილობებს, რომელთაც აყენებენ მის დასახიჩრებულ სხეულს. აჭარა და ბათუმი, შემდგომ ახალქალაქი და ახალციხე და შემდგომ ამისა კიდევ ვინ იცის რა განსაცდელი, რა ხიფათი და უბედურობა.

ჩვენი ეროვნული სხეული თითქოს სასვებით დაიშალა. თითეული მისი ნაწილი თითქოს აღარც კი განიცდის მეორეს სიახლოვეს და საჭიროებას. ბათუმის დრამა სათანადოდ არ უგრძვნია საქართველოს სხვა კუთხეებს, ქართლს თუ კახეთს. მათ თავის ანარქია აქვთ, თავის გასაჭირი და უბედურობა. ეროვნული ცხოვრება ერთმანეთთან შეკავშირებულ და შეერთებულ ნაწილებიდან უნდა შესდგებოდეს. ჩვენი ცხოვრების ეს შემაკავშირებელი ჯაჭვები დღეს დაწყვეტილია. ეროვნული ერთეულის მთლიანობა იშლებოდა მთელი წლის განმავლობაში და რაც არ დაშლილა საბოლოოდ, იშლება დღესაც. და არ სჩანს ძალა, რომელიც შეეცდება ეროვნული სხეულის ნაწილების თავის მოყრას, შეერთებას. არ არის ძალა ორგანიული, ამ ცოცხალ ნაწილების ერთმანეთისაკენ მიმზიდველი, არ არის ძალა მექანიკური, რომ ეს რღვევა ძალით შეაჩეროს და ეროვნული ცხოვრება საბოლოო დაშლისაგან დაიფაროს.

და ეს არის სწორედ უდიდესი ეროვნული უბედურობა, უსაშინლესი ეროვნული საფრთხე. ქართველ ერს არა ის ღუპავს, რომ მას ოსმალეთი შთანთქვას უპირებს, არამედ კიდევ უფრო ის, რომ ამ საფრთხის წინაშე საქართველო, თუმცა პატარა და სუსტი, მაგრამ მაინც ერი და ძალა, არ არის მთლიანი სულიერად, ხორციელადაც. ის შესდგება მრავალი ნაწილებისაგან, რომელნიც ერთმანეთისაგან თითქოს დამოუკიდებელი არიან. მრავალი სახელო, მრავალი პარტია, ჯგუფი და მრავალი გამდგარი თუ დამოუკიდებელი მაზრა და სოფელი. მას ჰყავს ცენტრი, გარეგნულად ყველა ძალების შემაერთებელი და შემთანხმებელი, მაგრამ მხოლოდ გარეგნულად. ეს მისი ცენტრი ვერ უყრის თავს ეროვნული ცხოვრების მთავარ ძალებს, ვინაიდან აქ არ არიან წარმოდგენილნი ის რეალი ძალები, რომელნიც ცხოვრებას ჰქმნიან, ან თუ არიან წარმოდგენილნი, მეტად სუსტად, უფერულად, უარმყოფელ მიმდინარეობაში გათქვეფილი და განელებული. საქართველომ ჯერ ვერ შექმნა ორგანო, რომელიც ხელში დაიჭერს მისი ცხოვრებას ყველა მთავარ ძაფებს და რომელიც აამოძრავებს და აამოქმედებს ერთმანეთზე გადაჯაჭვულს ეროვნულს სხეულს.

იქნებ ჩვენი ეროვნული თავისუფლება და დამოუკიდებლობა ვერ დავიცვათ სავსებით მაშინაც კი, როდესაც მთელი ქართველი ერი შეკავშირებული იქნება ერთი მტკიცე სახელმწიფოებრივი ძალით, ერთი ნებისყოფით და ეროვნული თავდაცვის გარდაწყვეტილებით, მაგრამ ასეთს მდგომარეობაში ქართველი ერი მოახერხებს შენარჩუნებას ყოველივე იმას, რის შენარჩუნება მისთვის შესაძლებელი არის. დღეს ქართველი ერი ცხვრის ფარაა, რომელსაც ყოველი გარეშე და შინაური იქით გადენის, საითაც მოისურვებს. საქართველო გამოეყო დარღვეულ რუსეთს, მაგრამ მან ჯერ კიდევ ვერ აღადგინა ამ ნანგრევებზე სახელმწიფოებრივი ცხოვრება და გარეშე ძალთა განვითარება კი ჩვენ არ გვაცლის.

ბათუმის დაკარგვა ჩვენთვის იყო საშინელი ეროვნული კატასტროფა. ამას შემდგომ ჩვენ ყოველივე თავისი ძალები უნდა მოგვეკრიბა, უნდა გამოგვეშკარავებინა სრული ჩვენი ენერგია. მაგრამ ეს არ მოხდა. არის ხალხი, რომელსაც მოეპოება საკმაო მამულიშვილური აღფრთოვანება, ეროვნული საქმისათვის ბრძოლის საჭიროების შეგნება. იყო მასალა, მაგრამ არ აღმოჩნდა ამ მასალის გამოყენების საშუალება, ვერ შევქმენით ორგანიზაცია, ვერ შევქმენით წესრიგი, დისციპლინა.

დღეს კიდევ, როგორც გვატყობინებენ ახალი საშინელება დაგვატყდომია თავს. თითქოს იძულებული გავხდით დაგვეთმო ოსმალეთისათვის ახალციხის მაზრა, ახალქალაქის მაზრა, რკინისგზები და ერთი სიტყვით, ყოველივე რაც მათ მოუთხოვიათ. ჩვენ ეს არ გვჯერა სანამ ამის შესახებ ოფიციალურ ცნობას არ მივიღებთ. არ გვჯერა, რომ არ ყოფილიყოს შესაძლებელი რამოდენიმე დღით საქმის შეჩერება მოლაპარაკებისა თუ იარაღით, რომ გამორკვეულიყო ბერლინში ჩხენკელის მისიის შედეგები. მაზრების დათმობა ამასთანავე თურმე არ სწყვეტს დანარჩენი საქართველოს ბედს. ბორჩალოს მაზრისა და აღმოსავლეთის საზღვრების საკითხი ამ ზავით თურმე სრულებით არ ირკვევა. მაშასადამე ეს დათმობა არაფერს არ გვიმოგებს, არაფერს არ გვიცავს. ასეთი „ზავი“ იქნება საშინელი ეროვნული კატასტროფა და ჩვენც უნდა გამოვლისწინებული გვქონდეს მისი შედეგები.

## მომენტისათვის

რუსეთის რევოლიუცია და მასთან ერთად თვით რუსეთი „მრავალუფლებიანობამ“ დაღუპა.

განახლებულმა სახელმწიფომ ვერ შექმნა ერთი ძლიერი, ავტორიტეტით მოსილი მთავრობა.

დიდიდან რევოლიუციის დაწყებისა, მოისპო რუსეთის სუვერენობის მატარებელი და გამომხატველი ძალა.

ქვეყნის მართვა-გამგეობა ერთსა და იმავე დროს რამდენისამე დაწესებულების ხელში იყო და ეს დაწესებულებანი ერთმანეთის ანგარიშს არ უწევდენ, შეუთანხმებლად და ხშირად ერთი მეორის საწინააღმდეგოდ მოქმედობდენ, სრულიად დამოუკიდებლად განაგებდენ ქვეყნის ბედსა.

ოფიციალი სამინისტრო ქაღალდზე თუ არსებობდა, თორემ მთელი ნამდვილი ძალა-უფლება გადავიდა სხვა და სხვა საბჭოების ხელში, დანაწილდა და დაქუცმაცდა მათ შორის. სახელმწიფო მართვა-გამგეობას საძირკვლად ჩაეყარა „ცნობილი“ ფორმულა: „იმდენად, რამდენადაც“. ეს-კი სახელმწიფოებრივ იდეის უარყოფა იყო, სახელმწიფოს განადგურება და გახრწნა.

სახელმწიფოებრივ უფლების ძირითადი მოთხოვნილებაა ერთ-მთავრობიანობა, მთელის ძალა-უფლების, მთელის მართვა-გამგეობის ერთის დაწესებულებისათვის გადაცემა, მისის უზენაესობის აღიარება, მის განკარგულებათა სრულ-უფლებიანობის ცხოვრებაში სასტიკად გატარება, მათი ყოვლის უმიზეზოდ შესრულება.

უამისოდ სახელმწიფო, როგორც სახელმწიფო, ვერ იარსებებს, დაიშლება მეტოქე ძალთა მბრძანებლობის უღელ ქვეშ.

ასე მოუვიდა რუსეთს. ესევე დაემართება ყველა ერს, ვინც მისს დამღუპველს მაგალითს მიჰყვება.

ერთს და იმავე ტერიტორიაზე შეუძლებელია ორის თანასწორ-უფლებიანის ძალის მოქმედება, ერთი მათგანი უსათუოდ მოსპობს და გაანადგურებს მეორეს ან ორივე დაიღუპებიან ბრძოლის პროცესში.

ამიტომაც არის, რომ დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა ჩვენ ყურადღებას ვაქცევდით და ვაქცევთ ყველა იმ ძალებს, ვინც ლამობს თუნდ ცოტაოდენი მეტოქეობა გაუწიოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, მიიტაცოს თუნდ სულ მცირედი ნაწილი სახელმწიფოს სუვერენულ უფლებისა.

ჩვენ შეუწყნარებლად მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, რომ მეზობელ რესპუბლიკათა მთავრობანი საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედობდენ, აქედან განაგებდენ თავიანთ ქვეყნებს. და ამ მხრივ განსაკუთრებულის სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ მთავრობის ოფიციოზმა „ერთობამაც“-კი, რომელიც მუდამ რუგვას განიცდის, როცა საქმე საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესების დაცვას შეეხება, ამ საკითხში აღდგა აუდა ცხოვრებას და გადაჭრით მოითხოვა, რათა „დაუყონებლივ იქნას მიღებული საჭირო ზომები და ასეთს არა ნორმალურს მდგომარეობას, თუ მართლა მას ადგილი აქვს, ბოლო მოეღოს“.

„ერთობა“ სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ „შეუძლებელია რომელიმე სახელმწიფოში, მისს ტერიტორიაზე ორი მთავრობა არსებობდეს“ (ხაზი ჩვენია).

ამ აზრს მხარს ვართ ორივე ხელით მოვაწერთ ხელი, მხოლოდ ვთხოვთ გაზეთს „ერთობას“ და მისს ხელმძღვანელთ არ დაივიწყონ მათ მიერ გამოთქმული ჭეშმარიტება, ყველგან და ყოველთვის ახსოვდეთ იგი, ებრძოლონ ყოველს მოვლენას, რომელიც—კი მას არ შეესაბამება.

დიაღ!:

„შეუძლებელია რომელიმე სახელმწიფოში, მისს ტერიტორიაზე ორი მთავრობა არსებობდეს“.

მაგრამ რა განსხვავებაა ამ მხრივ აძერბეიჯანის და არარატის მთავრობის, რომელთა წინააღმდეგ მიმართულია „ერთობის“ ხსენებული მხილება და თუნდ თბილისის „სოვდეპის“ შორის, რომელიც ამ ბოლო დროს განსაკუთრებულს მიდრეკილებას იჩენს სახელმწიფოებრივ სუვერენულ უფლებათა დაჩემებისათვის?

რა არის, თუ არ საქართველოს რესპუბლიკის სუვერენულ უფლებათა დარღვევა ვაჭართა დაბეგვრა 30 მილ. მანეთით ქ. თბილისში, ესე იგი საქართველოს ტერიტორიაზე?

შეიძლება განა წესიერს სახელმწიფოში ასეთის რისიმე ჩადენა მთავრობის გარეშე და მთავრობის ნება-დაურთველადაც-კი?

შესაწყნარებელია განა, რომ რომელიმე გორის „სოვდეპი“ ქალაქში სამხედრო წესებს აცხადებდეს?

ეს ხომ იგივე ორ მთავრობიანობაა, „ერთს ტერიტორიაზე ორი მთავრობის არსებობა“!

ორ-მთავრობიანობა მით უფრო შეუწყნარებელია, რომ ჩვენებური „სოვდეპთა“ უმრავლესობაში ბევრი არა ქართველი ურევია, ვისაც არა თუ ჯერ არ უცვნია თავისი თავი საქართველოს მოქალაქეთ, არამედ ხითხითითაც-კი შეჰხვდა ჩვენს დამოუკიდებლობას. სახელმწიფოებრივის თვალსაზრისით სულ ერთია, ვინ ერევა საქართველოს სახელმწიფოებრივ მმართველობაში: არარატის მთავრობის მეთაური ხატისოვი თუ თბილისელ სოვდეპის წევრი მუხარინსკი. ორივე შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესები ერთნაირად ილახება, ორივე თანასწორად უკანონო და უკეთურობა არა მარტო საერთაშორისო და სახელმწიფო უფლების თვალსაზრისით, არამედ უბრალო საღი გონების პატრონისთვისაც.

შეუპოვარი

## ბრძოლა ბოლშევიკებთან

ყველა ქუდი და აყაზაკი დღეს ბოლშევიკობს. რა სნეულებაა „ბოლშევიკობა“ და როგორის სიმძვილით ედება იგი უპატრონო პროვინციას,— ეს ყველამ ვიცით. არ ვიცით მხოლოდ ის, თუ რა შემუშავებული სისტემით ებრძვის ჩვენი მთავრობა ამ გადამდებ სნეულებას? მეთოდი ბრძოლისა როგორღაც პრიმიტიულია. ჰანიბალის პარტიზანულ ბრძოლას რომაელები გაცილებით მეტის გამჭრიახობით ეკიდებოდნენ, ვიდრე ჩვენი მთავრობა ბოლშევიკებს, რომელნიც არა თუ რეგულიარ ჯარს, არამედ ბრბოს, მძარცველ-მაწანწალათა კონგლომერატს თუ წარმოადგენენ. დაუშვათ ისიც, რომ ამ ბრბოს არა ჰყავს ჰანიბალისებური გენიოსი სარდალი, რომ პირინე-აპენინის მწვერვალნი და ჭაობები საფრებად გამოაყენებინოს თვის მომხრეთ. ჩვენს მთავრობას მეტი საშუალება მოეძებნება მათს ასალაგმავად, ვიდრე რომის სენატს მრისხანე მტრის გამოჩენის დროს: „ჰანიბალი კარს მოგვადგომია!“ სასაცილოა და სავალალო, რომ ასე ვსთქვათ. „ბოლშევიკთა“ ჯარები კარზე კი არ გვადგანან, ცხვირ წინ, ყოველგან და არსად. ჩვენი მთავრობა თითქოს კეკუმალაობას ეთამაშება მათ. ჯიუტი მტერია. უცნობი ბოლშევიკი ჭრინმაჩინის ქუდით ხან ერთ პროვინციიდან ილირება, ხან მეორედგან. ქართლში ვითომც მათ ჰქონდათ ადგილი, შემდეგ აჭიაბულთან, შემდეგ სამეგრელო, ზუგდიდი, სამხედრო გზა... მთავრობაც პარტიზანულად სდევნის... იმათ მხრით ძარცვა-გლეჯა, განადგურება... მთავრობის ჯარის გამოჩენაზე თითოს დროშას გამოჰკიდებენ, ქაიმაროთება მოლაპარაკება, მიტინგი, ორთავე მხრით წამოდგებიან „შეგნებული ამხანაგები“ და რევოლუციის

სახელით წითელ დროშაზე მარქსის სახეს შეჰფიცავენ თანამშრომლობას, ერთად ბრძოლას. ასე რიგდებიან.. გამოიკვლევენ მიზნებს და აღმოაჩენენ საბუთებს, რომ... მოძრაობას რაღაც გაუგებრობა ედო სარჩულად... ვიღაც ბნელი ძალები, კონტრ-რევოლუციონერები სარგებლობდნენ რევოლუციონურ დროშით... ახლა ამ კონტრ-რევოლუციონერებს დაუწყებენ ძებნას ხელი-ხელ გადაკიდეით, ვიდრე სხვა კუთხეში, სხვა პროვინციაში არ გამოჩნდებიან ახალი მეგობრები და თავიანთს ველურობის ქუსლით არ მოსთელავენ მშვიდობიან მცხოვრებთა ნაპირნახულევს.

არა, მთავრობა ჩვენი თავის სოციალ-პოლიტიკური რეფორმებით ხშირად ჩავარდნილა კომიკურს მდგომარეობაში, მაგრამ კომიზმა ბოლშევიკებთან ბრძოლაში ყოველისფერს გადააჭარბა. არც ერთხელ მთავრობას სასტიკ ზომებისათვის არ მიუმართნია. არც ერთხელ მეამბოხენი და ამბოხის მეთაურნი არ დაუჭერია. გავიხსენოთ თუნდა ქართლის ტრაგედია, ცხინვალის ამბები, სადაც უდანაშაულო სოფლელებს ჰხვრეტდნენ და მეთაურები კი ხელდასმით განთავისუფლებულნი დღესაც ამაყად დაიარებიან და ახალს საფრთხეს განამზადებენ. დღეს, როდესაც ნორჩ სახელმწიფოს საძირკველი ირყევა, შეუწყნარებელია მერყეობა. მთავრობას უნდა ჰქონდეს შემუშავებული ერთი წესი ერთი გეგმა, და მის მიხედვით უნდა მოქმედებდეს. მეამბოხე და ურჩი უნდა დაისაჯოს, თუნდაც მათი სახით ჩვენივე ოჯახის წევრნი გამოვიდნენ. მთავრობა კი ერთ გვარად არ ექცევა ყველას. მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ ვინაა მის წინაშე წარმომდგარი—ფელინი თუ ბარბაროსი! მისმოქანცულ ფეხებს ყოველგან ღალატი და კონტრ-რევოლუცია ებლანდება, ნამდვილი კონტრ-რევოლუციონერები და მოღალატენი კი მის მფარველობით სარგებლობენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ყაჩაღს და პოლიტიკურ საქის ხელში დამჭერს რაღაც ეფემერული წითელი დროშა აერთიანებს...

ქართლელი.

# პრესა

„ერთობა“ ეხება დამოუკიდებლობის გამოცხადებით ჩვენში შექმნილ სულიერ განწყობილებას და ამბობს:

ყველა ჯურის ნაციონალისტები გაერთიანდენ, მათი ბანაკი სადღესასწაულოდ არის მორთული, უსაზღვრო ბედნიერებას გრძნობენ და სიხარულის ცრემლებს უხვად აფრქვევენ. და როცა თვალ-ყურს ადევნებ ნაციონალისტთა ამ დღესასწაულს, ადამიანს ეგონება, თითქოს დღევანდელი უკიდურესი მდგომარეობა მართლაც შეცვლილიყოს ფართო მასის სასარგებლოდ, თითქოს საერთაშორისო სისხლის ღვრას, უდანაშაულო მოძმეთა ხოცვა-ჟლეტას უკვე მოეღო ბოლო, ქვეყანაზე მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება დამყარდა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ არც ერთი ეს ჯერ არ მომხდარა, ძმათა შორის სისხლის ღვრა კვლავ გრძელდება, კვლავ ნადგურდება საუკუნოებით შექმნილი კულტურა და ჩვენი სამშობლოც კრიტიკულ მდგომარეობაშია. მას საშინელი საფრთხე მოელის გარეშე მტერთა ურდოებისაგან.

მაშ, რაშია საქმე, რა მოხდა? რამ გამოიწვია ნაციონალისტთა შორის უსაზღვრო სიხარული ამ სისხლის წვიმების დროს. რათ გრძნობენ თავს ბედნიერად ჩვენი ნაციონალისტები მაშინ, როცა ჩვენი ქვეყანა საერთაშორისო ომის ალშია გახვეული, რომელიც მას ჩანთქმას უქადის?

სხვადასხვა ისტორიულ მიზეზების გამო, რომელთა გაღრმავებას აუცილებლად ხელი შეუწყო ბოლშევიკების გამოსვლამ, რუსეთის რევოლუციამ ვერ მიიღო ისეთი მიმართულება, როგორც მოითხოვდა დემოკრატიის ინტერესები და იგი დღეს შეიძლება დამარცხებულად ჩაითვალოს, დემოკრატიამ დაჰკარგა თავის პოზიციები და მთელი რუსეთი ანარქიამ მოიცვა.

ჩვენი დემოკრატია, რომელიც იბრძოდა რუსეთის დემოკრატიასთან ერთად და მზად იყო კვლავ ამ ძველი, ნაცადი გზით ევლო, დღეს იძულებული შეიქნა თავის მოქმედების ასპარეზი საქართველოს ფარგლებით განესაზღვრა. ერთის მხრით საერთაშორისო მდგომარეობამ, გარეშე მტრის საფრთხემ და მეორეს მხრით ამიერკავკასიის მთლიანობის დარღვევამ აიძულა ქართველი დემოკრატია გამოეცხადებია საქართველოს დამოუკიდებლობა.

აი სწორედ ამ გარემოების, საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გამოცხადების გამო ეძლევიან ჩვენი ნაციონალისტები უსაზღვრო სიხარულს.

ამის შესახებ „ერთობას“ უნდა მოვახსენოთ, რომ ჩვენ არა გვაქვს რა სადღესასწაულო, ვინაიდგან დამოუკიდებლობა არ კმარა, თუ იწარმოებს ისეთი პოლიტიკა, რომელიც დაღუპავს დამოუკიდებლობას.

„ერთობა“ სტირის, რომ რუსეთის რევოლუცია შეიძლება დამარცხებულად ჩაითვალოს, მაგრამ განა რუსეთის რევოლუცია მარტო ბოლშევიკებმა დაღუპეს და მისს გაქარწყლებაში მენშევიკებს კი არ უდევთ წილი?

# ომი

## ბრძოლა კარაკლისთან

თბილისი, ივნისის 2. სომეხთა ეროვნულ საბჭოს ცნობით კარაკლისსა და ერევანს შუა ტელეგრაფო დამოკიდებულება უკანასკნელ დროს შეწყვეტილი იყო. ეხლა ბათომიდან ეროვნულ საბჭოს სახელზე ოსმალთა წყაროებიდან მოსულია ცნობა, რომ დამოკიდებულების შეწყვეტის დროს ოსმალთა და სომეხთა ჯარების შუა დიდი ბრძოლა გადაუხდიათ, რომელიც ოთხ დღეს გაგრძელებულა. ოსმალთა ცნობით სომეხთა მხრით ბრძოლაში 7 ათასი კაცი იღებდა მონაწილეობას, ხოლო თურქების მხრით 10000 კაცი. მიუხედავად ამისა, რომ სომხები მამაცურად იბრძოდნენ, ბოლოს იძულებული გახდნენ მრავალრიცხოვან მტრის ჯარებისთვის დაეთმოთ კარაკლისი. სომხებს დაჰკარგვიათ 1,500 დაჭრილ-დახოცილი და 1000 კაცამდე ტყვედ. ოსმალთაც ბევრი მოსვლიათ დიდი ზარალი. სომხების ჯარის ნაწილი ამ ბრძოლის შემდეგ დელიჟანისკენ წამოსულა, ხოლო მეორე ნაწილი სანაინისკენ.

## დასავლეთის ფრონტზე.

### გერმანელთა ცნობა.

ბერლინი. ივნისის 3. გერმანეთის სამხედრო უწყება. **კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი.** დროგამოშვებით მკვეთრცხლი საარტილერიო სროლა. მტრის დაზვერვითებული იერიშები ლილის დასავლეთით და ლისის ჩრდილოეთით მოგერებულ იქმნა.

**გერმანიის კრონპრინცის ლაშქარი.**

ჩვენს მიერ განადგურებულ ფრანგთა და ინგლისელთა კორპუსებს ადგილას მათ მოიყვანეს ახალ-ახალი, მაგრამ შეთხელებული ჯარები მახლობელ თუ შორეულ ფრონტებიდან. ესენი ამაოდ ცდილობდნენ ესნეს ჩრდილოეთით დაკარგული პოზიციები დაებრუნებინათ. ჩვენ უკვე ვდგევართ თხრილებში მომხდარ ბრძოლის შემდეგ მულენ-სუტუვანის, წმ. კრისტოფ-ვენგერის ხაზზე, სუასონის სამხრეთ-დასავლეთით ავიღეთ შოდუნი და ბრძოლით გავედით სავიერის დაბლობზე, სადაც ვილლერ-სოტერენის ტყის ნაპირამდე მივაღწიეთ. ურსის სამხრეთით მტერს სასტიკი კონტრ იერიშები მოჰქონდა. ყოველი იერიში დიდი მარცხით დაუბოლოვდათ. კურმანისა და მუტიერის იქით ტერიტორიის ნაწილი დავიპყარით, ხოლო შატოტიერის დასავლეთით ხელთ ვიგდეთ მთელი მაღლობები. მარნაზე, რეიმსსა და მარნის შუა, მდგომარეობა უცვლელია. ბრძოლის ველზე, რკინის გზებში თუ მთელი ხაზი აუარებელი სამხედრო მასალითაა სავსე. ჩვენი საჰაერო ესკადრა ყოველგან უმბარებს უშენს და მოსვენებას არ აძლევს მტერს. ჩვენ ჩამოვაგდეთ მტრის 31 ჰაეროპლანი. ლეიტენანტმა მენჰოფმა ეს მე-29 ჰაეროპლანი ჩამოაგდო, ლეიტენანტმა ლევენ გორდტმა მე-30, ხოლო უდეტმა—მე-25.

ბერლინი, ივნისი 3. საღამოს სამხედრო უწყება. სუასონის სამხრეთ-დასავლეთით კიდევ ახალ-ახალი გამარჯვება წილად გვხვდა. ურსის ორივე ნაპირებზე ფრანგთა კონტრ-იერიშები მოგერებულია.

# მთავრობის წრეებში

**სამხედრო მინისტრის ბრძანებით** უწყებათ თბილისის ყველა შტაბებს, კერძო ნაწილებს და დაწესებულებათ, რომელნიც კი დაიშლებიან, ყოველი იარაღ-ჩაცმულობა და სამხედრო დანიშნულების მასალა უნდა ჩააბარდეს არა უგვიანეს 5 ივნისისას.

ზემოდ ხსენებულ შტაბებში, ნაწილებში, დაწესებულებათა და სამმართველოთა შორის უნდა დაარსებულ იქმნეს კომისიები უწყებათა შესადგენად. თბილისის რაიონები გადაეცემა გენერალ-მაიორ ახმეტელაშვილის განკარგულებაში, ხოლო დანარჩენი პუნქტები მახლობელ ქართულ ნაწილების ხელში.

ხელს აწერს სამხედრო მინისტრი გიორგაძე

—

3 ივნისის სხდომაზედ მთავრობამ დაადგინა სთხოვოს ყველა სამინისტროებს, რომ 1 კვირის განმავლობაში წარმოადგინონ სამინისტროების რეორგანიზაციის პროექტი.

—

ფოთის მუშების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად გადაიდო 564885 მან. ეროვნულმა საბჭომ უნდა გადასწყვიტოს რომელ წყაროდან იქნეს აღებული ეს ფული. ფოთის თვითმართველობასთან შესდგება კომისია მუშების დასაკმაყოფილებლად.

—

ახალსენაკ-ორჩიდის რაიონში შავი ზღვის რკინის გზა 300 ვერსის მანძილზე გადაწყვეტილია საქართველოს რესპუბლიკის გამგებლობაში იქნეს მიღებული. შინაგან საქმეთა მინისტრს დაევალა მის დასაცავად ზომები იქნეს მიღებული. გზათა მიმოსვლის მინისტრს წინადადება მიეცა კომისია მოიწვიოს ოჩემჩირის-ახალსენაკის რკინის გზის გასაყვანად ხარჯთაღრიცხვა შეადგინოს.

—

ფინანსთა მინისტრს დაევალა კანონ-პროექტი წარმოადგინოს მადნეულობის დასამუშავებლად.

—

მთავრობამ მიიღო ფინანსთა მინისტრის მოსაზრება, რომ დაბეჭდილ ბონების ნაწილი სომეხთა და მაჰმადიანთა ეროვნულ საბჭოებს უნდა მიეცეს.

—

სახელმწიფო კონტროლიორის კანდიდატად ასახელებენ ფილიპე გოგიჩაიშვილს.

# ზავის გარშემო

## საქართველო-ოსმალეთის ზავი

**საქართველოს და ოსმალეთს შორის ზავი შეიკრა. წინასწარ ხელშეკრულობას ხელი მოაწერეს ბათომში 3 ივნისს ღამის 11 ს. საქართველოს და ოსმალეთის წარმომადგენლებმა.**

—

გუშინ განსაკუთრებული მატარებლით ჩამოვიდა თფილისში ბათომიდან საზავო დელეგაციის წევრი გ. რცხილაძე, რომელიც მოხსენებას გააკეთებს ეროვნულ საბჭოს წინაშე საზავო მოლაპარაკების შესახებ.

—

ჩვენგან მიღებულ ცნობების მიხედვით, ოსმალეთის მიერ ზავის შეკრაზე თანხმობა მიეწერება გერმანეთის ზედგავლენას. ოსმალეთის ეხლანდელ მართველ წრეებში მტკიცედ ფეხდადგმული იყო აზრი საზოგადოდ ამიერკავკასიის შემოერთების და საზღვრის კავკასიონის ქედამდის მიწევნის შესახებ. აღსანიშნავია ამასთანავე როლი თფილისში მყოფ გერმანეთის წარმომადგენლობის უფროსის გრაფ შულენბურგისა, რომელმაც თავისი ინიციატივის უნარით და მოქმედებით შეაჩერა პოლიტიკურ მდგომარეობის ოსმალეთის მიერ კიდევ გართულება.

—

მიღებულ კერძო ცნობებით, ოსმალეთს დაეთმო ტერიტორია ახალქალაქის და ახალციხის მაზრებში და აგრეთვე ოსმალებს ნება მიეცათ ჯარის გატარების რკინის გზით და საზოგადოდ რკინის გზებით სტრატეგიულად სარგებლობისა ამ ომის დროს გერმანიასთან წინასწარ შეთანხმებით.

—

სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობებით ა. ი. ჩხენკელი კონსტანცაოთი ბერლინში გამგზავრებულა. ბერლინში 3 ივნისს უნდა ჩასულიყო საღამოთი.

—

ბათომიდან ჩამოვიდა თბილისს ჰ. სურგულაძე.

## სომხების ზავი

1 ივნისს ბათომში სომეხთა დელეგაციამ ხელი მოაწერა ზავის ხელშეკრულობას ოსმალეთთან. რატიფიკაცია უნდა მოხდეს ოსმალეთში. სომხების დელეგაციამ დაუთმო ოსმალეთს ტერიტორია ულტიმატუმის საზღვრებში. ოსმალებმა თავის მხრივ ცოტაოდნად დაუთმეს სომხებს, სახელდობრ ოთხასი ოთხკუთხი ვერსი ერევ. გუბ. სამხრეთ ნაწილში და 900 ოთხ-კუთხი ვერსი ერევ. და ეჩმიაძ. მაზრებში. მუხლი, რომელიც სომხების შინაურ საქმეებში ჩარევას შეეხებოდა, გამოშვებულ იქმნა. სომეხ გამოქცეულთ ნება ეძლევათ უკან დაბრუნებისა, გარდა ყარსისა და ბათომის ოლქებისა, სადაც დაბრუნება შეიძლება მხოლოდ ცალკე შეთანხმების შეკვრის შემდეგ. სამხედრო მოქმედება შეწყდა.

საზღვრები სომხების ტერიტორიისა: ჩობანკარადან სოფ. არფესკენ, შემდეგ მდ. კასაღი ეჩმიაძინზე, ალაგეზის მთა ახალქალაქის საზღვრისკენ. ერევანი, ეჩმიაძინი რჩებიან სომხების ტერიტორიაზე.

## აზერბეიჯანი

ზავი შეკრულია აგრეთვე აზერბეიჯანსა და ოსმალეთს შორის. ხელშეკრულობის თანახმად ოსმალეთს უფლება აქვს შეიარაღებული ძალით ჩაერიოს წეს-რიგის დამყარების საქმეში აზერბეიჯანის ტერიტორიაზე.

# ქრონიკა

## თბილისი.

◆ **ეროვნული დროშები რკინის გზებზე.** რკინის გზის უფროსმა კანცელარიამ გზათა მიმოსვლის მინისტრს შემდეგი ტელეფონოგრამა გაუგზავნა: „რადგანაც საჩქაროდ საჭიროა რკინის გზების ყველა სადგურებზე ქართული ეროვნული დროშები და ამავე დროს კი მათი დამზადება შეუძლებელია მასალის უქონლობის გამო, სთხოვს გაუგზავნოს საჩქაროდ 500 არშინი თეთრი, შავი და წითელი მატერია“.

◆ **კავკ. გზათა მიმოსვლის ოლქის უფროსმა** გზათა მიმოსვლის მინისტრს სთხოვა ჯამაგირი მისცეს იმ მუშებს, რომლებიც საქართველოს სამხედრო გზაზე ლარს-მლეთის შუა თვეში 4100 მან. ერგებათ. მუშები თხოულობენ, რომ მათ ან რუსული ფულით გაუსწორდნენ ან კავკავის მარკებით, რადგან იმ ბაზრებზე სადაც ისინი ყიდულობენ საქონელს ამიერკავკ. ბონებს არ დებულობენ.

◆ **ალმ. კომიტეტის კრება.** დღეს, საღამოს 7 ს. სასახლის დარბაზში დანიშნულია მუშათა ცენტრის და თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის შეერთებული კრება გაძლიერებული კომიტეტის შესადგენად.

◆ **ქართულ სამხედრო კავშირის** ჩექმის სახელოსნოში საჭიროა არიან ხელოსნები. ბეჯითი მუშა აიღებს დღეში 30 მანეთს. მიიღება სამხედრო პირებიც თანასწორ უფლებით თავისუფალ მუშებთან. ქსენიევის და ელისაბედის ქუჩის კუთხე, დილის 8 საათიდან 3 საათამდის.

◆ **მილოცვა დამოუკიდებლობის გამო.** სურამის ქალაქის თვითმმართველობამ მორიგ სხდომაზე მოისმინა მოხსენება საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ და ერთხმად შემდეგი რეზოლუცია მიიღო: „ქალაქის თვითმმართველობა მიესალმება დიდებულ აქტს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო და აღუთქვამს ყოველი დახმარება გაუწიოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას.

◆ **დაკარგულა ჩაქუჩავა ზაქარიაძე** 1 ივნისს, ნაძალადევის [illegible] შინიდან გამოსული 10 წლის ბავშვი, თვალ-ჭრელი, მოკლე შავი თმიანი ქალი, თეთრი პიკის ქუდით და თეთრიანი ბამბაზიის კაბით უკან აღარ დაბრუნებულა. მშობლები სთხოვენ ყველას, თუ ვინმე რამე იცის ამ ბავშვის შესახებ აცნობოს შემდეგი მისამართით: ნაძალადევი—ყუბანის ქუჩა, სახლი ქურთიშვილისა, ბინა შაქრო პავლიაშვილისა.

◆ **ქართული ჰიმნის შესახებ,** როგორც გავიგეთ, ქართ. ცენტრალური სამხედრო კავშირის გადაუწყვეტია გამოაცხადოს მუსიკის კონკურსი ქართულ ეროვნულ ჰიმნისათვის. დაწვრილებითი განცხადება პირობების შესახებ ამ ახლო ხანებში იქნება.

◆ **ქ. ფოცხვერაშვილის ჰიმნების საღამო** განმეორდება შევსებული პროგრამით შაბათს, 8 ამ თვეს, სახალხო სახლში. ეს დღე საგანგებოდ დაუთმო ფოცხვერაშვილს მუშათა და სალდათთა საბჭოს მიერ.

◆ **კულტურის და შრომის წევრად** ჩაწერა შეიძლება: 1, კავშირის კანცელარიაში (სასამართლოს ქუჩა, № 26, ბინა გ. ჟორდანიასი, ტელეფონი 17—00) ყოველდღე 12—3 საათზე; 2, „საქართველოს“ რედაქციაში ვლ. ფანიაშვილთან (12—2 და 6—8) და 3, კოოპერატივ „დახმარებაში“ ირ. თაზიშვილთან (ერევნის მოედანი) იმავ დროს. ნამდვილი წევრი აძლევს 25 მანეთს კავშირში შესასვლელ ერთ დროულს გადასახადს და სამის პაის ფულს; დამხმარე წევრი—25 მანეთს შესასვლელს და ერთის პაის ფულს, თანამოაზრე—3 მანეთს ყოველწლიურად ან 50 მანეთს ერთდროულად. თითო პაი ღირს 100 მანეთი. პაის პატრონს დივიდენდი მიეცემა საერთო წესით. პაის ფულის ნაწილ-ნაწილად შეიძლება შეტანა.

◆ **ქურდობა.** აპრილის შუა რიცხვებში თბილისის ვაჟთა მე-2 გიმნაზიის კანცელარიიდან მოიპარეს გადამწერი მაშინა, 14 ცალი სიწიფის მოწმობა და სხვა საგნები. სისხლის სასამართლოს მილიციელებმა გამოარკვიეს, რომ ქურდობა ჩაუდენიათ პრაპ. შმიკინს და ბორის ეგოროვს. პირველი დაიჭირეს, ხოლო მეორე კავკავში გაიპარა.

## პროვინციის ქრონიკა.

◆ **იძულებითი სესხი ქუთაისის გუბერნიაში.** საფინანსო საგანგებო კომისიამ, რომელიც არჩეული იყო სხვა და სხვა დაწესებულებათა, ქალაქის სათათბიროს და რევოლუციონურ ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან, დაადგინა ქუთაისის გუბერნიაში შეჰკრიბოს იძულებითი სესხი 10 მილიონი, შემდეგის სახით: ქალაქ ქუთაისში მოიკრიბოს 4,000,000 მან., ფოთში 700,000 მან. სენაკში 300,000 მან ზუგდიდში 200,000 მან. სოხუმში 1,000,000 მან. სამტრედიაში 350,000 მან. ჭიათურაში 600,000 მან. საჩხერეში—100,000 მან., ხონში—400,000 მან., ყვირილაში—325,000 მან., ოჩემჩირეში—50,000 მან., ონში—60,000 მან., წალენჯიხაში—40,000 მან. მთელი გუბერნიის ყველა სოფლებში 2,000000 მან. დადგენილია მიჰმართონ საგუბერნიო კომისარს წინადადებით, რომ ეს დადგენილება ცხოვრებაში დაუყონებლივ გატარებულ იქმნეს.

◆ **ქუთ. რკინიგზის მილიცია.** ქუთაისის სადგურის კომენდანტი შტ. კაპ. პაიჭაძე გზათა მიმოსვლის მინისტრს ატყობინებს:

„არა ერთხელ გამოგიგზავნეთ დეპეშა ქუთაისის რკინიგზის მილიციის მოქმედების შესახებ, ბოლოს გატყობინებთ, რომ 30 მაისს ჩემთან მოვიდნენ რაჭის რამდენიმე მცხოვრები, რომლებმაც განმიცხადეს, რომ იქაურმა მილიციელებმა მათგან 200 მან. აიღეს ქრთამად რამდენიმე ფუთი შაქრის გაზიდვისთვის. შაქარი თფილისში მიჰქონდათ სპეკულიაციისთვის. აქამდე ვერავის ვატყობინებდი ფაქტების უქონლობის გამო, ეხლა ასეთი ფაქტები მაქვს და გთხოვთ მიიღოთ შესაფერი ზომები.

◆ **ეროვნული დროშა რიონის სადგურზე.** საგენტოს ცნობით რიონის სადგურზე სამხედრო მინისტრის ბრძანების თანახმად ეროვნული დროშა გამოკიდიათ.

◆ **უწესოება ლეჩხუმის მაზრაში**

ეროვნული

ლეჩხუმის მაზრაში კვლავ უწესოებამ იჩინა თავი. მთელს მაზრაში სურსათის დიდი ნაკლებულებაა.

◆ **გურიის სამღვდელოების დადგენილება.** გურიის სამღვდელოებამ თავის კრებაზე 24 მაისს შემდეგი დადგენილება გამოიტანა:

„გურიის სამღვდელოება, გრძნობს რა სავსებით იმ საშინელ და საბედისწერო განსაცდელს, რაიცა მოსპობით ემუქრება არა თუ რევოლუციის მონაპოვრებს, არამედ ჩვენი ქვეყნისა და ერის ფიზიკურ არსებობასაც კი, მიუხედავად იმისა, რომ ის თავის ოჯახის წევრთა საშუალებით უკვე ჩაბმულია თავდაცვის საქმეში, გამსჭვალულია გულწრფელი სურვილით თითონ პირადად მიიღოს აქტიური მონაწილეობა მამულისა და თავისუფლების დაცვაში, ვისაც როგორ და რანაირად ეს შეუძლია და ეხერხება მას. მწყერლობა, სანიტარობა, ხურსათის მოწესრიგება და სხ. და ერთხმად ადგენს:

მღ. ეპიფანე ჩხაიძეს საშუალებით ეცნობოს ადგილობრივ ჯარების უფროს ეს დადგენილება, რომ თვითეული ჩვენგანი მზადაა არის შესაფერი საქმე თავს იდოს და შეასრულოს, ვიდრე ეს ომი წარმოებს, რომ ამით განთავისუფლდეს ბრძოლაში გამოსადეგი ახალგაზრდები. ეს დადგენილება მღ. ჩხაიძემ უკვე აცნობა ჯარების უფროსს შესაფერ განკარგულების მოსახდენად.

## პარტიული ცხოვრება.

◆ **თბილისის საგუბერნიო კომიტეტის დაარსება.** პარტიის ქალაქ თბილისის კომიტეტმა აღძრა მთავარ კომიტეტში საკითხი თბილისის საგუბერნიო (საოლქო) კომიტეტის დაარსების შესახებ. საკითხის გადაწყვეტა მიენდო მთ. კომიტეტის საორგანიზაციო სექციას.

◆ **ქ. თბილისის მეორე რაიონის** კომიტეტმა გადაწყვიტა ყოველ კვირა-პარასკევ დღეს მართოს რაიონში მცხოვრებ პარტიის წევრთა საზოგადო კრებები. კრებები გაიმართება საღამოს 6 საათზე (პარასკეობით) სამეურნეო ბანკის დარბაზში. დასასწრებლად საჭიროა პარტიულ მოწმობის (ბილეთის) აღება.

## კულტურის და შრომის კავშირისაგან

დღევანდელს განსაკუთრებულ პირობებში, როცა იწყება ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრება, საქართველოს ყველა მოქალაქეს მოეთხოვება უანგარო თავგანწირვა, რაც შეიძლება მეტი საქმიანობა სახელმწიფოებრივ იდეის განსამტკიცებლად და გასამაგრებლად.

ყველა მოვალეა, რითაც-კი შეუძლიან, ხელი შეუწყოს ეროვნულ საქმეს, მიიტანოს ერის საკურთხეველზე თავისი ძალა, ღონე, სახსარი, ცოდნა და გამოცდილება.

დიდია გასაჭირი ჩვენის ქვეყნისა, მრავალი საფრთხე მოსდგომია მას ყოველის მხრიდან, შინ და გარედ.

საჭიროა განსაკუთრებული შეძლება ერის ყველა შემადგენელ ნაწილებისა, განსაკუთრებული მხნეობა, სიფხიზლე, შრომა, თავგანწირული შრომა.

სიტყვების დრო წავიდა, დადგა დრო საქმისა, შემოქმედებითის შრომისა, ცხოვრების ახალ ფორმების აღმაშენებლობისა.

საზოგადოების უმრავლესობის ყურადღება მიპყრობილია დღეს პოლიტიკურ საკითხებზე.

ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ არა ნაკლებ საჭიროა საქმიანობა კულტურულ ნიადაგზე, ზრუნვა საქართველოში ნივთიერ და სულიერ კულტურის აყვავებაზე.

და აი ამ უკანასკნელ შრომისათვის მოუწოდებს ქართველობას ახლად დაარსებული კულტურის და შრომის კავშირი, იწვევს ყველას, ვისაც სწამთ, რომ სამშობლოს ხსნა პატრიოსანს, თავგანწირულს, დაუღალავს შრომას შეუძლიან, ჩაეწერონ კავშირში, თავიანთი წვლილი შეიტანონ მისს მომავალ საქმიანობაში, საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრების კულტურულ ელემენტების შექმნაში.

ნუ დაგვეკარგება და გამოუყენებელი ნუ დაგვრჩება არც ერთი ცოცხალი კულტურული ძალა, თუნდ სულ მცირედი ნივთიერი შესაძლებლობა ჩვენის მიზნის განსახორციელებლად!

—

კავშირის წევრად ჩაწერა შეიძლება: საკუთარს კანცელარიაში (სასამართლოს ქუჩა, № 26, ბინა გ. ჟორდანიასი, ტელეფონი 17—00); 2) გაზეთ „საქართველოს“ რედაქციაში ვლ. ფანიაშვილთან და 3) კოოპერატივ „დახმარებაში“ (ერევნის მოედანი) ირ. თაზიშვილთან.

კულტურის და შრომის კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გ. ჟორდანია.

## ქართლში გადმოსავალი გზები კავკას. მთაზე.

ქართლს (გორის მაზრა) ჩრდილოეთით უძევს კავკასიონის მთის უმაღლესი მთავარ მთაგრეხილის შუა ნაწილი, რომელიც ჰყოფს იმიერ და ამიერ კავკასიას ანუ ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე ოსების ქვეყანას, და საქართველოს მიწაზე მოსახლე ოსებს და რომელიც ძველის ძველი დროიდგან ქართველების საკუთრებას შეადგენდა. მიუხედავად მთის სიმაღლისა, ამ მთებზე სხვათა შედარებით, ძალიან მარჯვე გადმოსავალი გზები აქვს პირიქითიდგან ჩვენკენ ანუ საქართველოსკენ. მომეტებული რიცხვი გზებისა ცხენით სავალია. ამ წერილით მინდა გავაცნო ჩვენს მკითხველებს ეს გადმოსავალი გზები და ყურადღება მივაქციო, როგორც საზოგადოებისა, ისე მთავრობისა, რომ ჩრდილოეთიდგან მოსალოდნელ საფრთხის თავიდგან ასაშორებლად ამ გადმოსავალ გზებს საჭიროა გამაგრება და დარაჯი, თორემ, ვინ იცის, იქნებ უსიდად დარიალის ხეობიდგან მოდიან ჩვენი ქვეყნის მტრები და ნამდვილად კი ამ ქვეყნის ჩამოთვლილს გზებიდან შემოგვეპარონ. მე დარწმუნებული ვარ რომ ჩვენი ქვეყნის სტრატეგები უეჭველია ამ გზების მცოდნენიც არიან და მათ დაცვას ეპირებიან, მაგრამ მე ამითი გავაფრთხილებ ყველა ქართველს, რომ ამ გზებისკენ მყოფ მეცხვარეებმაც და ვაჭარ მგზავრებმაც თვალი დაიჭირონ და მთავრობას შეატყობინონ ყოველივე უჩვეულო ხალხის მოძრაობა და მიმოსვლა ამ მთის ბილიკ გზებით.

1) **მამისონის გადმოსავალი**, ლეთეს თავზე, მერმე ურმის გზა კვეკავისკენ, ეს გზა გადმოდის, ზამთარეთზე, ნაკრეფაზე, ჩასავალზე (რაჭაში), მერე უწერაზე ურმის გზაა, კვეკავისკენ დარკობზე მიდის.

2) **ზიკარისა.** ს. ქეშელთაში ჩამოდის ზრუგუსა და ნარის ხეობიდგან (პირიქით ოსეთი). ცხენებით გადმოდიან. (ზრუგუს ხეობას მაჩაბლები ეპატრონებოდნენ).

3) **როკისა და ჯომაღის გზა** ცხენისა, როკიდამ გადადის ნარაში, იქიდამ სადუგვერდანაში მიდის. ამ გზას პირდაპირი კავშირი აქვს ჩრდილოეთელ ოსებთან და თვით სამხრეთელ ოსების მთავარი ყურადღება ამ გადასავალ გზასა აქვს მიქცეული. ჩვენებურმა ოსებმა მრავალჯერ სთხოვეს ძველ მთავრობას ამ გზაზე რკინის გზის გაკეთება და პროექტიც იყო, (ვურცელის). მაგრამ ვერ მოხერხდა; შარშან კი გამოკვლევა მოახდინეს საურმე გზისა, უკვე შეიმუშავეს გეგმა, და მიმდინარე წლის მაისში უკვე უნდა ემუშავნათ ამ დაგეგმილ გზაზე, მუშაობა უნდა დაეწყოთ ჯომაღადგან როკის მიმართულებით, და შეერთებინათ სადუგრუნისკენ მიმავალ საურმე გზისთვის, ვითომდა ჰინახულის გამოსაზიდად. როგორც ხმა მოდის, მუშაობა უკვე დიდის ხალისით მიდის, და ვითომ 3 მილიონი ფულიც უშოვნიათ ამ გზის ჩქარა გასაყვანად. შეიძლება ეს ჭორიც იყოს, რადგან არა მგონია, რომ ამ გვარი სტრატეგიულის მნიშვნელობის გზების გაყვანა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის ნება დაურთველად მოხდეს, და ყველა ვიგინდარას ალაყაფის კარები გაუღოს შუა საქართველოში შემოსასვლელად და სათარეშოთ.

4) **ედისის გადასავალი**, ამ გზით ამ ხუთმეტი წლის წინათ გრაფინია უვაროვისა გადმოვიდა პატარა ეტლით, რომელიც ალაგ ალაგ დაეშალათ და ისე ხელით გადმოეტანათ, ამ გზით ხევის ძელებს სარებით გადიტანენ ხოლმე პირიქით ოსებისგან. ეს გზა უერთდება სადგურ კობს,—სამხედრო გზაზე. ამ გზით გადმოვიდა ამ ასი წლის წინად რუსების ცხენოსანი რაზმი ზარბაზნებით, რომელიც შემთხვევით ყინულ გადაკრულ ყელის ტბაში დაიღუპა. მგონი მაისის თვე იყო, ჯერ ისევ ყინულგადაკრული ტბა თოვლით იყო დაფარული. გზის მაჩვენებელი მოსტყუვდა, ზედ შეაყენა რაზმი, ყინული ჩაიმტვრა და დაიღუპა.

უწინ ამ გზების დარაჯათ ქართველი მოსახლეობა ყოფილა, ახლა კი იქ ქართველი აღარავინ სცხოვრობს, გარდა მეცხვარეებისა, რომლებსაც ორი თვის განმავლობაში აქ ცხვარი უყვანიათ.

ა. დ.

## უცხოეთი

### რუსეთი

**მოსკოვის რადიო-სადგურისგან.** რუსეთის წარმომადგენლებს იოფეს ბერლინში. დღეს, 2 ივნისს, სევასტოპოლში იყო გრაფი მირბახი. ბარონი კიულმანი ტელეგრაფით იტყობინება თქვენი განცხადების გამო ფლოტის დაბრუნების შესახებ, გერმანეთის მთავრობა ისევ იმ აზრისაა, რა წინადადებითაც მოგმართათ პირველად. ამაზე მიუთითე რომ თქვენგან პირობებია წამოყენებული, ე. ი. ჯარების მოძრაობის შეჩერება, ამის გარდა ის, რომ ფლოტი უეჭველად რუსეთის რესპუბლიკას ეკუთვნის, რაიც ამის შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნდეს. მე შევეკითხე: ბარონ კიულმანის ტელეგრამა ხომ იმას არ ნიშნავს, რომ თქვენს პირობებს იღებს იგი, ხოლო ფლოტის ჩვენს საკუთრებად აღიარება ნიშნავს იმას, რომ გერმანელები თვითონ ისარგებლებენ ამ ფლოტით, ხოლო რაც შეეხება ჯარების მოძრაობის შეჩერებას, ეს კიდევ იმის ნიშანია, რომ ბატაისკი მათს ხელში გადავა. გრაფმა მირბახმა მიპასუხა, რომ ბარონი კიულმანი ამის შესახებ არას იუწყება. იგი მხოლოდ აღნიშნავდა ფლოტის სევასტოპოლში დაბრუნებას. მე ვუპასუხე, ჩემსა და თქვენს ფორმულის სხვა და სხვაობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი ფორმულით ჩვენი ფლოტის სევასტოპოლში შესვლა შესაძლებელია მხოლოდ იმ სახით, თუ იგი საზოგადო შეთანხმების თანახმად ჰხდება, ამასთანავე თუ სევასტოპოლი არ იქნება გერმანელთაგან ან და მის მოკავშირეთაგან დაჭერილი. თქვენ კი მხოლოდ გერმანელ-უკრაინელთა ჯარების მოძრაობის შეჩერებაზე ლაპარაკობთ. მე ვუპასუხე, ის კითხვა, აუცილებელ პირობად სთვლით თუ არა ფლოტის დაბრუნებას, ან და რამდენად აღარ ისარგებლებს გერმანეთი ამ ფლოტით, ამაზე გარკვეული პასუხი არ მოუციათ. გრაფი მირბახი დაპირებულია, მალე გამოარკვევს მდგომარეობასო. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ჩიჩერინი.

### ბოლშევიკი სამღვდელოება

**ვიტებსკი.** მაისის 6. პოლოცკის მაზრაში პირველ მაისობის დღესასწაულში სასულიერო წოდებამაც მიიღო მონაწილეობა. მღვდელმა სიტყვა წარმოსთქვა პირველ მაისის მნიშვნელობაზე და ურჩევდა ყველას საბჭოთა მთავრობას დაემორჩილეთო.

### უკრაინა.

უკანასკნელად თბილისში მოსული გერმანული გაზეთები 14—16 მაისისა, რომლითაც ჩვენ საშუალება გვქონდა გვესარგებლა, საინტერესო ცნობებს შეიცავენ უკრაინაში ეხლახან დამყარებულ რეჟიმის შესახებ. მოლაპარაკება მთავრობის საბოლოოდ შედგენის შესახებ კადეტებსა და ოქტომბრისტებს ერთის მხრივ და უკრაინის დემოკრატიის ერთს ნაწილს შორის მეორე მხრივ ჯერ არ გათავებულა. ჯერჯერობით კი მინისტრთა კაბინეტი იყო ცალ მხრივ შემადგენლობისა და მასში სჭარბობდნენ ბურჟუაზიული ელემენტები დაახლოვებით კადეტების მიმართულებისა.

გეტმანმა სკოროპადსკიმ თავის მოქმედებას საფუძვლად დაუდო უკრაინის დამოუკიდებლობა, რაც ახლანდელ პოლიტიკურ ვითარებისა გამო, რომლისაც რუსეთში ჯერ კიდევ ბოლშევიკები ბატონობენ, არ ეწინააღმდეგება უწინდელ ავტონომიათა მიზნებს. ამ ახლო დროში უნდა დაწყებულიყო საზავო მოლაპარაკება უკრაინასა და რუსეთს შორის და მაშინ, რასაკვირველია, უფრო აშკარად გამოჩნდება ავტონომისტთა ნამდვილი გულისზრახვანი. ბოლშევიკური მთავრობა მოითხოვს ფრიად მჭიდრო სატამოჟნო კავშირს უკრაინასა და რუსეთს შორის და როგორ შეხვდება ამ მოთხოვნილებას უკრაინის ახალი მთავრობა, რომელშიაც რუსი და საზოგადოდ რუსოფილური ელემენტი ბლომად არის, ამას ახლო მომავალი დაგვანახვებს.

საზოგადოდ უკრაინაში ეხლა დიდი მუშაობაა რუსთა შორის რუსეთთან ძველი კავშირის და დამოკიდებულების ხელახლავ აღსადგენად. წინანდელ მთავრობის მიერ დახურულ „რუსთა კავშირის“ საზოგადოება ისევ გაცოცხლდა. ამ რუსოფილურ მოძრაობაში დიდს როლს ასრულებს ქალ. ოდესა, რომლის ეხლანდელი ქალაქის თავი ბოგუცკი თავის დროზედ რუსეთის დროებით მთავრობის წევრი იყო. ბოგუცკის ეხლა ძალიან აინტერესებს სრულიად რუსეთის ერობათა წარმომადგენლების ყრილობის მოწვევა, რომელსაც მისი განზრახვით უნდა დაესწრონენ რუს. სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი წევრები, წევრნი ყოფილ რუს. დროებ. მთავრობისა, მთავარ შტაბისა და სხ. ამ ყრილობას აზრად უდევს ახალი კავშირის შექმნა რუსეთის ყოფილ ქვეყნებს შორის, რათა ამით ხელი შეუწყოს შავი ზღვის ქვეყნების ფედერაციის იდეის განხორციელებას, რომელი იდეა ფეხს იკიდებს ბოლოს დროს კიევის ზოგიერთ პოლიტიკურ წრეებში. ამ ფედერაციაში პროექტის ავტორთა აზრით უნდა შევიდეს უკრაინა, კაზაკების ქვეყნები (დონი, კუბანი), ყირიმი და კავკასია.

—

ბერლინის გაზეთებს მოჰყავთ კიევში წარმოთქმულ უკრაინის ახალ ფინანსთა მინისტრის სიტყვა, რომელსაც სხვათა შორის უთქვამს, რომ თუ უკრაინას უნდა თავის გადარჩენა დაღუპვისაგან, ფინანსიურად აუცილებლივ რუსეთს უნდა ჩამოშორდეს. რუსეთს ქაღალდის ფული აქვს გამოცემული 40 მილიარდისა მაშინ, როდესაც უკრაინას აქვს გამოცემული მხოლოდ 1,400 მილ. მანეთისაო. უკრაინამ უნდა შექმნას თავისი საკუთარი ფულის სისტემა, საჭიროა დაარსდეს უკრაინის საემისიო ბანკი მსოფლიო კაპიტალის დახმარებით.

### გერმანეთი

აპრილის უკანასკნელ დღეებში იმპერატორი ვილჰელმი საფრანგეთის ფრონტიდან, სადაც ამ დროს უკვე დამთავრებული იყო გერმანელების მძლავრი შეტევა ინგლისელების წინააღმდეგ (სომის ხაზზე) გზად გაიარა ქალ. აახენში, სადაც მას წარუდგნენ სხვა და სხვა დეპუტაციები. იმპერატორმა წარმოსთქვა გრძელი სიტყვა, სადაც მოკლედ დაახასიათა საფრანგეთის სამხედრო ასპარეზად გარდაქმნილ ტერიტორიის მდგომარეობა. „მე ახლა დავათვალიერე, სთქვა, სხვათა შორის, იმპერატორმა, აოხრებული საფრანგეთი. მხოლოდ ამისი ნახვით შეიძლება თქვენ წარმოიდგინოთ რა საშინელებას გადარჩა ჩვენი ქვეყანა. ვინც რამდენიმე ამ ომის დროს სულმოკლეობას განიცდის, საკმარისია რამოდენიმე დღით წავიდეს ფრონტზედ და ნახოს თავისი თვალით ეს საშინელებანი, ამის შემდეგ ის ჩივილს თავს დაანებებს, თავისი ბედით კმაყოფილი გახდება და ყველა ომის მიერ გამოწვეულ შევიწროებას და ნაკლულევანებას მოთმინებით გარდაიტანს. ხოლო თუ ჩვენ ეხლა მშვიდობით ვართ ჩვენს ტერიტორიაზე, ამას უნდა ვუმადლოდეთ ჩვენს უმაგალითო ჯარს“. იმპერატორმა ბოლოს მოიხსენია, რომ სომზე შეტევას თან მოჰყვა 600 ათასი ინგლისელის ბრძოლის ველიდან განრიდება და მათ მიერ 1600 ზარბაზნის დაკარგვა.

—

აპრილის დასასრულს რუმინეთიდან გერმანეთში უკვე გატანილი იყო 2 მილიონ ტონზე მეტი სხვადასხვა სურსათი, ფურაჟი და სანოვაგე.

## წერილი რედ. მიმართ

ნება მოგვეცით თქვენი გაზეთის საშუალებით ვაცნობოთ ქართველ საზოგადოებას, რომ მეორე ქართულ საარტილერიო ბრიგადის მე-5 ბატარეის ჯარისკაცებმა: მემნონ დევშვაძემ, ნიკოლოზ ზვიადაძემ და ნიკოლოზ თევდორაძემ ქურდულად დასტოვეს თავის ამხანაგები და გაიპარენ. უკანასკნელი იმ დროს, როცა ბატარეია ფრონტზე წასასვლელად ემზადებოდა, ხოლო პირველი ორი — როცა ბატარეია უკვე ბრძოლის ველზე იმყოფებოდა, და ფრონტზე საყოველთაოდ ცნობილი იყო, რომ რამოდენიმე დღეში შეტევა უნდა დაწყებულიყო. ამ ლაჩრების მოღალატეობა სამშობლოსა და მათ ამხანაგების მიმართ ზიზღსა და აღშფოთებას იწვევს ბატარეის აფიცრებსა და ჯარისკაცებში.

ვიმედოვნებთ, რომ ამ პირების სამარცხვინო საქციელს სათანადო მსჯავრს დასდებს მათი ახლობელი მეგობრები და მთელი ქართველი საზოგადოება.

და, საერთო ზიზღი და სასტიკი გაკიცხვა იყოს დამსახურებული სასჯელი იმათთვის, ვინც კრიტიკულ დროს უღალატა სამშობლოს და თავისს ამხანაგებს.

ამას გარდა კანონიერი ნებართვით წასული იყო ბრძოლის ველიდან რამოდენიმე დღით ორი ჩვენი ამხანაგი-ჯარისკაცები; მათი დაბრუნების ვადა კარგა ხანია გავიდა, მაგრამ ჯერ ბატარეიაში არ დაბრუნებულან. თუ ეს ამხანაგები ამ წერილის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის განმავლობაში ბრძოლის ველზე არ დაბრუნებულან, ჩვენ მე-5 ბატარეის ჯარისკაცები, მათაც მოღალატეებად ჩავსთვლით და მათ ვინაობას ქართველ საზოგადოებას ვაცნობებთ.

ბოლოს უნდა აღვნიშნოთ ერთი ფრიად სამწუხარო მოვლენა: ზოგიერთ ჯარის-კაცების ნათესავები და მეგობრები, იმის მაგივრად რომ ბრძოლის ველზე მყოფნი წაახალისონ და გაამხნევონ, უგზავნიან მათ ბატარეიაში ცრუ დეპეშებს რომელიმე ახლობელის მძიმე ავათმყოფობის შესახებ და ამნაირად მოტყუებით იწვევენ მათ სახლში. ასეთი ქცევა არა ნაკლებ დასაგმობი და სამარცხვინოა, ვინემ ზემოდ დასახელებულ ვაჟბატონების მოქმედება. ჩვენ მივმართავთ ქართველ საზოგადოებას, რათა მან სხვა საშუალებით თუ არა, ზნეობრივ გავლენით მაინც შეეცადოს ასეთ საგმობსა და სამშობლოსათვის საზიანო მოვლენას ბოლო მოუღოს.

II ქართულ საარტილერიო ბრიგადის მე-5 ბატარეის მონდობილობით გიორგი ბუაჩიძე, ივანე ვეფხვაძე.

P. S. ვთხოვ ქუთაისის გაზეთებს გადაბეჭდონ.

## კორესპონდენცია

### ხევ-მთიულეთი

ჩვენი ეროვნული საბჭოდან სამი საპატიო პირი იყო გამოგზავნილი თბილისიდან თერგის ოლქში იქაური ერების წარმომადგენლებთან დელეგატად, რათა მათ მოელაპარაკათ ყველა ერის მეთაურებთან, რომ ხევ-მთიულეთის მკვიდრთა ცხვრის ფარები და ჯოგები მშვიდობიანად დაბრუნებულიყო ყიზლარიდან შინისკენ და გზაში მათ მიწა-წყალზედ (მიდამოებში) ცარცვა-გლეჯა და მკვლელობა არავის გაეწია მეცხვარეებისთვის. ჩვენის დელეგატების თხოვნამ უნაყოფოდ არ ჩაიარა და კარგად იმოქმედა ჩაჩან-ქისტებზედ და ყაზახობაზედ, სადაც თავიანთ საზღვრებზედ თითონ ადგილობრივი მკვიდრნი თავის ყარაულებს უნიშნავდნენ უსასყიდლოდ და დღე და ღამე შეიარაღებული ჩაჩან-ქისტები ცხვრის ფარებს მოაცილებდნენ. ამით დიდად ნასიამოვნები არიან ელდა დაცემული მეცხვარეები. ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენმა მეზობელმა ოსობამ პირი გატეხა, ოს-ქართველის დელეგატების აღთქმული პირობა დაარღვიეს და გვიღალატეს. სოფ. არდონთან დაეცნენ ოსები ლევანა გიგაურის ცხვრის ფარას, ასტეხეს საშინელი სროლა, მეცხვარეებმაც სროლით უპასუხეს; მეცხვარეთაგან ერთი დაიჭრა და ერთი ცხენი მოჰკლეს, მხოლოდ

ერთმა მეცხვარემ ორი ოსი იმსხვერპლა *). სროლის დროს ბრძოლის ყაზახობა მიეშველა მეცხვარეებს და ყაზახი ოსები გაიფანტნენ და ცხვარი გადაარჩინეს. ამავე დროს აპრილის 28-ს სოფ. გიზელთან ღამე თავს დაესხა 40-დე შეიარაღებული ახალგაზრდა მუსულმანი ოსი ცხვრის ფარებს, ბუქსებს მწყემსებს მოულოდნელად სროლა. მწყემსებმა სროლით უპასუხეს, მუსულმანი ოსები ასე ყვიროდნენ. ჩვენ გიზელელები ვართ, ამ სროლაზედ მოცვივდნენ გიზელის ოსები მეცხვარეებს დაეხმარნენ (ესენი ქრისტიანებია და კავკავიდან მე-7-ე ვერსზედ სცხოვრობენ დასავლეთისკენ). ასტყდა საშინელი ბრძოლა. ერთის მხრით მწყემსები და გიზელელი ოსები იბრძოდნენ, მეორე მხრით მუსულმანი ოსები სოფ. ძაშანკულიდან; გიზელელებს ასე უპასუხებდენ: „თქვენ თუ გიზელელობას იჩემებთ, მაგას დილა გამოაჩენსო!“ მართლაც და დილამ აღმოაჩინა ექვსი მოკლული მუსულმანი ოსი და რაც დაჭრილი წავიდა შინა, ეს არ გამორკვეულა, მხოლოდ შესამე დღეს ჩამოიყვანეს 22 ახალგაზდა მუსულმანი ოსი, რომელთაც ამ დღეს მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ცხვრის დაცემაში. ცხვარი უკლებლივ დაიბრუნეს გიზელელ ოსების ჩვენებით და წითელ გვარდიელების დახმარებით, რომლებიც კავკავიდან დაეხმარნენ.

27 აპრილს, შიგ კავკავის პირს „შალდონზედ“ დაეცნენ ისევ ოსები შამილა ჯაბანაშვილის ცხვარს, ასტყდა საშინელი სროლა მწყემსებსა და ოსებს შორის, მათ დაეხმარნენ წითელი გვარდიელები. ოსების ბრბო გაფანტეს, მაგრამ თვით შამილა ჯაბანაშვილი მოკლულ იქმნა ოსებისაგან და მისი ამხანაგი გ. ქიაშვილი ბარკალში დაჭრილი. ცხვარი გადარჩა. ხოლო ოსებისაგან ვინ რამდენი დაზიანდა, არავინ უწყის.

ცხვარი კიდევ ბევრია მოსასვლელი და არავინ იცის, რა დღეს დაესხმიან თავს ოსები.

კავკავის მაღაკნობა აღვირ-ახსნილი მოქმედობს, მოხევის და მთელად საქართველოს მეურმეებს არც სიმინდს, არც ფქვილს, არც კარტოფილს და არც სხვა რამე სანოვაგეს აღარ აძლევენ; სულ თავის სასარგებლოდ ართმევენ. პასუხი ასეთი აქვს ჩვენთვის:— თბილისმა ჩვენ მოგვცეს შაქარი, ნავთი, თოფი, ყუმბარები, ზარბაზანი და ფეხსაცმლეულობა და მაშინ ჩვენც გავატანთ აქედან ყველაფერსო. აქაურმა ბოლშევიკებმა გამოუცხადეს მეგმურებს, რომ სახლის ქირას ნუ აძლევთო, ამით მეთავეობს ვინმე იმერელი ბუაჩიძე.

კაცმის წვერა.

# თეატრი და ხელოვნება

კვირას, 2 ივნისს, დილით სახელმწიფო თეატრში გამართული იყო „ქართულ ჰიმნ-საგალობელთა აკადემიის ქ. ფოცხვერაშვილის და ნიკო ქართველის ხელმძღვანელობით“.

ეს კონცერტი მეტად საყურადღებო იყო, თანამედროვე და ჩვენი საზოგადოება დიდის სიამოვნებით მიეგება ამ ფრიად სანატრელ კონცერტს. ყველამ თანაგრძნობით ხმარი დაუკრა, როგორც სახელმწიფო ორკესტრმა და გუნდმა, აგრეთვე სამხედრო კავშირმა თავის მომღერალთა გუნდით და „მომღერალთა კავშირმა“. ნიჭიერად ცნობილ კომპოზიტორ ფოცხვერაშვილს ყველაფერი: პროგრამა, პრესსა, განცხადება, მითქმა-მოთქმა, სულ ეს ერთად ფრიად საფუძველს მოუპოვებდა ამ კონცერტს და, მართლაც, ხალხი ბლომად დაესწრო, თეატრის დარბაზი გავსებული იყო მსმენელით. გულწრფელად, თანაგრძნობით და სურვილ აღფრთოვანებული მიეგება ჩვენი საზოგადოება ქ. ფოცხვერაშვილის კონცერტს.

როგორ დაუხვდა ჩვენი გულუხვი მასპინძელი თავის პატივცემულ სტუმრებს და რა დრო გაატარებინა?

აიხადა ფარდა. ჩამოვარდა მყუდრო სიჩუმე და ყველას თვალი მიეპყრო სცენას. როგორც ეკლესიაში, საკურთხეველი არის წმიდათა წმიდა; დღეღის მიხვრა-მოხვრას, სიტყვას და ყოველივე მის კილოში გამოიხატება მოწიწება, კურთხევა-ვედრება უზენაეს წინაშე და ამ ჰარმონიით არის მოცული მთელი ტაძარი, თუნდაც, რომ ურჯულო შეერიოს მათში, იგი პატივის ცემით მოიხრის ქედს. ეს არის წმიდა შეუღლახავი ტაძარი. ეს არის სიფაქიზე, სულის სიამაყე ყოველივე კეთილშობილ ადამიანისათვის. ასეთი გრძნობით ვართ აღზრდილნი და მიჩვეულნი ჩვენ წმიდა სცენას. „ესტრადა“ ჩვენთვის ის შეულახავი ტაძარია, რომლიდან ყოველ დროს გაისმის ხმა სიმართლისა, პატიოსნებისა, სილამაზისა და გულწრფელობისა. ეს „ესტრადა“ არის გამომხატველი და სულის ჩამდგმელი კაცობრიობის აღორძინებისა. ჩვენ შეუპოვრად შევებრძოლებით მათ, ვინც ამ ტრადიციას დაარღვევს...

სწორედ იმ ბარბაროსობაზედ გვაქვს ბაასი, რომელიც ქ. ფოცხვერაშვილმა გამოიჩინა. უპირველესად საყურადღებოა მთავრობის განკარგულება: „მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რათა თბილისის ყველა სამუსიკო ძალებმა მონაწილეობა მიიღონ ქართულ ჰიმნ საგალობლების კონცერტში, რომელიც გაიმართება კვირას, 2 თიბათვეს სახაზინო თეატრში, ქ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით“. რითი ხელმძღვანელობდა ჩვენი მთავრობა, როდესაც გამოსცა ასეთი განკარგულება. გადასცა თუ არა ბ. ფოცხვერაშვილის განზრახვა „სახელოვნო სექციას“ (მუსიკალურ განყოფილებას) კითხვის გამოსარკვევად? მეორე—„ქართულ ჰიმნ-საგალობელი აკადემია“. რას ჰნიშნავს ეს აფიშა, ჩემთვის გამოურკვეველია. მხოლოდ მაგონდება ამერიკა, სადაც რეკლამის გულისათვის იგონებენ გასაოცარ სახელებს, რომ ხალხი მიიზიდონ. ყველა ეს იყო გარეგნული მოწყობილობის ხასიათი.

შევეხებით შინაარსს. სცენაზედ გამოვიდა ქ. ფოცხვერაშვილი რაღაც საოცარ ტანისამოსში, რომელსაც თითონ ქულაჯას ეძახის. ის ეროვნული სიამაყე, ლამაზი ტანისამოსი, რომელ სამკაულითაც ჩვენ თავი მოგვაქვს, ასე საზიზღრად არის დამახინჯებული. ქ. ფოცხვერაშვილმა თავის ლექციით კარგა ხანს მოიფხანა გული. მთელი მსოფლიო შეარყია, ყველა გაჰკიცხა, ვერც ერთი ლექსი, ვერც ჰიმნი ვერ იპოვა და ამისათვის დროებით გვიძლვნის თავის საკუთარ ლექსს და ჰიმნს. ამასთანავე ავტორი გვირჩევს ეს დროებით მივიღოთ, ვიდრე ამაზედ უკეთესს სხვა დასწერდეს.

რა არის ჰიმნი? ჰიმნი არის გამომხატველი ერის სულის კვეთებისა—ეს არის უმთავრესი ძარღვი მის მაჯის ცემისა — ხალხი ჰქმნის აზრს და ხალხი ჰშობავს მუსიკას. მაშასადამე, სიტყვებიც (ლექსი) და მუსიკაც ხალხური უნდა იყოს კომპოზიტორმა და არა გერმანული ჰიმნი, როგორც ეს დაამახინჯა ფოცხვერაშვილმა.

„ქართული სარევოლუციო საზეიმო მარში დამშვრალი“ უფრო შანტანური ხასიათისაა, ვიდრე დამშვრალი. ქ. ფოცხვერაშვილმა თვალ ნათლივ დაგვანახვა თავის მოუმზადებლობა, როგორც ლექტორის, ისე მუსიკალურის მხრივ.

ის ლექსი, რომელიც მან მოიყვანა როგორც ნიმუში.

„გაუმარჯოს რესპუბლიკას,

რომელიც ჰვაჰმევს პუბლიკას“.

თამამად შეგვიძლიან უძღვნათ ქ. ფოცხვერაშვილს:

გაუმარჯოს აკადემიას,

რომელიც სძარცვავს ადამიანს:

„აკადემია ყოველივე შინაარს მოკლებული იყო.

როგორც დირიჟორი—ფოცხვერაშვილი წარმოადგენს მოუხეშავ მოქიდავეს, თავის ხელების და ტანის ფართი-ფურთით. ბ. ფოცხვერაშვილს შეჰფერის კაფე-შანტანის ესტრადა და არა სერიოზული „ესტრადა“ თეატრისა, რომელსაც იგი შინაურ-შაბლონურ ხასიათს აძლევს: ეძახის ერთს, ელაპარაკება მეორეს, თავს იქექავს ელაზღანდარაოება მამენელთ, პუბლიკიდან აბიჯებენ სცენაზედ თითქოს სხვა კარები არ იყოს. ამნაირ ქცევით ქ. ფოცხვერაშვილმა თეატრი გადააქცია ცირკად.

კონცერტი რომ შინაარს მოკლებული იყო, ამის გასამართლებლად ავტორს შეუძლიან გვიპასუხოს, რაც შეეძლო ის წარმოგიდგინეთ, გნებავთ მოიწონეთ, ან დაიწუნეთ და მართალიც არის, მაგრამ, რაც შეეხება „ესტრადის“ ტრადიციის შელახვას, ამის პროტესტს ვაცხადებთ და მოვითხოვთ, რომ ბ. ფოცხვერაშვილი დაემორჩილოს „ესტრადის“ ეთიკასა ან ჩამოეცალოს მას.

ილიკო აბაშიძე.

# ქართული უნივერსიტეტი

შემოწირულებანი.

ქართულ უნივერსიტეტს შემოსწირეს: 1) ბ. ისიდორე კოსტავამ ოც და ექვსი ცალი ძველი ფული—ორი ვერცხლისა და დანარჩენი სპილენძისა.

2) „თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიამ“ საკუთარი გამოცემა: „ერობა კავკასიაში“, ლ. ა. ნაზაროვისა.

3) გიორგი პეპინაძემ—სოფ. თლუღიდან (ქვემო რაჭა)—ხის ჯვარი ათონური ხელობისა, ბრინჯაოს ზოლთა და ბეჭდის თვალი.

4) ქ-ნ ელ. ჯამბაკურ-ორბელიანისამ დიდი ფრანგული წიგნი: „საფრანგეთის რევოლუცია“, გამოცემული არმან დაიოს რედაქტორობით.

5) ქუთაისის მასწავლებელთა გამომცემელმა ამხანაგობა „განათლებამ“ ორ-ორი ცალი საკუთარი გამოცემანი 17 სხვადასხვა სახელმძღვანელო წიგნებისა.

6) ასურმა მღვდელმა ერთი ასურული წიგნი.

7) წერა-კითხვის წიგნის მაღაზიამ ორ-ორი ცალი 45 წიგნი საკუთარი გამოცემანი.

8) ჟურნალ „განათლების“ რედაქტორმა ყველა გამოცემების ორ-ორი ცალი, გარდა პირველი დიდი ტომიანი ჟურნალებისა, რომელნიც ცეცხლმა იმსხვერპლა.

9) უცნობ პირმა დიდი ხელთნაწერი 1845 წ. წიგნი „დავრიშიანი“ და სხვა მოთხრობები.

10) რედაქციები „ორიზონი“, „მშაკი“, „საქართველო“, ქუთაისიდან „ხალხის მეგობარი“, „სოციალ-დემოკრატი“ და „რევოლუციონური ნაბათი“ ორ-ორ ცალს თავიანთ გამოცემისას უკვე უგზავნიან უნივერსიტეტის წიგნთ-საცავს.

11) ქეთევან ალექსის ასულმა ყანჩაველმა ტფილისის ტელეგრაფის მოსამსახურეთა შორის შეგროვილი შეიდას ორმოცდა ათი (750 მან.)

12) თელავის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის წლიურმა კრებამ გასული წლის მოგებიდან გადადვა უნივერსიტეტის სასარგებლოდ ასი თუმანი (1000 მ.)

ქართული უნივერსიტეტის გამგეობა ულრმეს მადლობას სწირავს შემომწირველთ.

ქართული ოპერეტა

# არტისტიული თეატრი

ხუთშაბათს 6 ივნისს 1918 წელს

## ბენეფისი ი. რევაზიშვილისა

წარმოდგენილი იქნება მეორეთ ცნობილი ახალი აზიური ოპერეტკა გაჯიბეგოვისა

# მაშადი იბადი

(ანუ ეს არ იყოს ის იყოს)

თარგმანი ი. გიგოშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი: მ. გიგოშვილი, ვ. მარგველაშვილი. ბ-ნი: ი. რევაზიშვილი, მ. ჯანოევი, ნ. ჩაგუნავა, ნ. მირველოვი და სხვანი.

დირიჟორი ხიმონა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

გამგე ნ. ჩაგუნავა

(2—1640—1)

# თანახმად პროფესიონალურ კავშირის დადგენილებისა

1. სასტუმროებში, სასადილოებში და რესტორანებში ყოველივე შეკვეთილ სასმელ-საჭმელზედ გადასახადი უნდა იყვეს ფული შეკვეთისთანავე.

2. სასტუმროებში და მოროთულ ოთახებში ოთახის ფასი უნდა იყვეს გადახდილი ყოველივე სამი დღისა წინათვე. 3—1642—1

# საქართველოს ეროვ.-დემოკ. პარტიის ქ. თბილისს მეორე რაიონის

კანცელარია მოთავსებულია „საქართველოს“ რედაქციაში. ახალ წევრთა ჩაწერა, საწევრო გადასახადის და ერთდროულ შემოსავლის მიღება, შეიძლება ყოველ დღე დილის 10—2 საათამდის და საღამოს 6—8 საათამდის. 7—3

# იყიდება პირველი ხარისხის

# რესტორანი

თავის მოწყობილობით. მოხერხებულს ადგილზედ. ცნობების მიღება შეიძლება ი. ქ. რაზმაძესთან 11—2 საათამდე დილისით და 6—8 საათამდე საღამოთი. თეატრის ქუჩა № 4—სასტუმროების პატრონთა ბიურო. 3—1638—2

# სამკურნალო

## სამხედრო სპეციალისტ-ექიმების—გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

დიდ ვანქის ქუჩა № 8. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელ. № 481.

ექიმი ასათიანი—ყელის, ყურის და ცხვირის. ყოველ დღე 12—1 საათამდის.

ექ. ახვლედიანი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე 11—12 ს.

ექ. გელოვანი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე 10—11 ს.

ექ. ჩუდნოვსკი—ნერვების, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკეობით 12—1 საათ.

ექ. ერმოლაევი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე 1—2 ს.

ექ. ბოკოვსკი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 12—1 ს.

ექ. ვაშაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველ დღე საღ. 3—4 ს.

ექ. სურგუჩოვი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე 4—5 ს.

ექ. შიინაძ—თვალების ავადმყოფობის. ორშ., ოთხშ. და პარასკეობით 2—3 ს.

ექ. იგანოვი—თვალების ავადმყოფ. სამშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით 2—3 ს.

ექ. ყალამქაროვი—ქალთა და საბებიო. ყოველდღე 1—2 ს.

ექ. ნოვიცკი—ქალთა და საბებიო. ყოველდღე 2—3 საათ.

ექ. ქალი იოსელიანი. ქალთა და საბებიო. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 11—12 ს.

ექ. ქალი ფირალოვი—ქალთა და საბავშვო სამშაბათობით, ხუთშაბათობით შაბათობით და კვირაობით. 11—12 ს.

ექ. შამაში—ქირურგიული (დოსტაქარი). ყოველდღე 11—12 საათზე.

ექ. ფირალოვი—ქირურგი. ყოველდღე $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე.

ექ. ბარნაშ-ტროცკაია—სტომატოლოგ ავადმყოფ. ყოველდღე 2—3 საათ.

ექ. ცანდერი—სალოსტაქრო ავადმყოფ. ყოველდღე 4—5 საათ.

ექ. ქიქოძე—კანის და ვენერიულ ავადმყოფობის. ყოველდღე 12—1 ს.

ექ. არხიპოვი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფობის 4—5 საათ.

კბილის ექ. ალიხანოვი—ყოველდღე 10—12 საათ.

კბილის ექ. ნურალოვი—ყოველდღე 3—5 ს.

ოპერაციები მორიგეობით, კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ანალიზი, ჰიპნოზი, მოსამსახურეთა და ძიძების გასინჯვა, სითვალების შერჩევა, ფასი დარიგებისათვის 1 მ. 50 კ. 100—95

ექიმი

# მ. ი. ზანდუკელი

ასსისტენტი მოსკოვის სანატორიუმ-სამკურნალო ექ. ნ. მ. კაშკინის იღებს შინაგან და ნერვების ავადმყოფთ (პსიხოტერაპიით) სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით ნაშუადღევს 3 ს.—5 საათამდე. ოლღას ქუჩა № 22.

ექიმი

# ლოხინი.

პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტის ყოფილი დიდი ხნის ასსისტენტი იღებს თვალის ავადმყოფებს

დილის 10—12 ს. საღ. 4—7 საათამდე. მიხეილის პროსპ. 76. (ბაიკინის კბილის სამკურნალოს პირდაპირ).

ტელეფონი 7—38.

მარტის 20 გაიხსნა ახალი

# სამკურნალო

ყოველგვარ ავადმყოფთათვის

ექიმ ბ. მ. მენაბარიშვილის და ლ. მ. ნაზარეთიანცის

სამკურნალოში იღებენ კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტექნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის და („კირპიჩნი“ ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი კირპიჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

ექიმი

# გ. წინამძღვრიშვილი,

ყ. ოპერატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ.-ის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა. გულისა, ფილტვისა და ხახხლის სნეულებათა სპეციალურად. იღებს: დილით 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, ყოველ დღე, გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლო, სასტუმრო „მონ-პლეზირის“ პირდაპირ. თ—1018—40

საკბილო სამკურნალო კაბინეტი ექიმ

# ალექსანდრე დავითის ძის კეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნებით) ავადმყოფთა მიღება ქალებისა და ბავშვთათვის 4—5 ლაბორატორიები 6—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნოვიკ“ პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ექიმი

# ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე.

მისამართი: მოსკოვის ქ. № 11. თ—1536—31

ქალთა და ბავშვთა სნეულებათა მკურნალი მისე ანტონის ძე

# კალანდარიშვილი

უმცროსი ექიმი აზ. კაცებთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელ. № 17—21.

ექიმი

დიმიტრი (რამინ) იოსების ძე

# ყორღანია

სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფებით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა. გორის ქუჩა № 6, ლილუბა. ტელეფონი 14—37

1თ—960—59

*) ეს დანამდვილებით არ იციან ყაზახებმა მოკლეს თუ მეცხვარეებმა.